ყველა ბედნიერია?!

ლელა იმნაიშვილი
სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

გაკვეთილის სათაური: ,,ყველა ბედნიერია?!“
კლასი:V
საგანი: ინგლისური

I. სასწავლო მიზნები:

თემის გავლის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ მედიაპროდუქტების ანალიზს, წაკითხული ტექტის კრიტიკულად შეფასებას და მასში არაპირდაპირ მოცემული მინიშნებების პოვნას; ასევე, განუვითარდებათ შემოქმედებითი აზროვნება.

უცხ.ს.IV. 3 მოსწავლეს შეუძლია, მოისმინოს და გაიგოს ტექსტი ნაცნობ თემატიკაზე.
უცხ.ს.IV.7. მოსწავლეს შეუძლია, წაიკითხოს და გაიგოს ადაპტირებული ნოველა, მოთხრობა *(ან ნაწყვეტი მოთხრობიდან).*
უცხ.ს.IV.10. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის/ნაწყვეტის ხმამაღალი კითხვა.
უცხ.ს.IV.13. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის შედგენა, რომელშიც ავლენს თვითგამოხატვის უნარს.
უცხ.ს.IV.16. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა.
უცხ.ს.IV.18. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობ თემებზე ლაპარაკი.
უცხ.ს.IV.27. მოსწავლეს შუძლია რესურსების გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშესაწყობად.

მედიაწიგნიერების მიზნები: მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

II. უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

- ✓ **დიორამა** - ნახატი, რომლის წინ მოთავსებულია მოცულობის მქონე 3D ფიგურები.
- ✓ **ორიგინალი** - ,,თავდაპირველი“ დედანი.
- ✓ **ადაპტირებული** - გამარტივებული ტექსტი, რომელსაც იგივე შინაარსი აქვს, რაც თავდაპირველ ტექსტს.
- ✓ **სტეროტიპი** - ბერძნულიდან stereos მაგარი და typos ანაბეჭდი; საზოგადოებაში მყარად გავრცელებული მოსაზრება.
- ✓ **მედიარესურსები** - წიგნები, ჟურნალები, რადიო და სატელევიზიო გზავნილები, ფილმები, ვიდეოთამაშები, სოციალური ქსელები და სხვა.

- ✓ **ინტერპრეტაცია** - 1. რისამე აზრის თავისებური ან შემოქმედებითი ახსნა , განმარტება.

III. საგანმანათლებლო რესურსები:

- ✓ მოსწავლის წიგნი English World 4
- ✓ Little Red Riding Hood (2014-HD) - Fairy Tale Stories - Children Story - Bedtime Story for Kids https://youtu.be/RT-EwqgHqCk
- ✓ Little Red Riding Hood https://learnenglishkids.britishcouncil.org/sites/kids/files/attachment/stories-little-red-riding-hood-transcript-final-2012-07-13-.pdf
- ✓ თოჯინები, თაბახის ფურცლები,საწერი კალმები, ვატმანის ქაღალდი, მარკერები, მაგნიტები.

შენიშვნები: იმის გათვალისწინებით, რომ ეს გაკვეთილი ტარდება მე-5კლასში და მოსწავლეები ვერ შეძლებენ ორიგინალში ზღაპრის დამოუკიდებლად წაკითხვას, მოსწავლეებს საშუალებას მივცემ, საშინაო დავალების სახით წაიკითხონ ადაპტირებული ზღაპარი მისამართზე: https://learnenglishkids.britishcouncil.org/sites/kids/files/attachment/stories-little-red-riding-hood-transcript-final-2012-07-13-.pdf

აღნიშნულ ბმულზე მოცემული ზღაპრის შინაარსს ქართულ ენაზე დანართის სახით გთავაზობთ გამოყენებულ მულტიმედია რესურსებში.

მათ დავალებად ექნებათ, ნახონ მულტიპლიკაციური ფილმი ბმულზე : https://youtu.be/RT-EwqgHqCk.

აღნიშნულ ბმულზე მოცემული მულტფილმის მოკლე შინაარსს ქართულ ენაზე ასევე დანართის სახით გთავაზობთ გამოყენებულ მულტიმედია რესურსებში.

რატომ შევარჩიე ეს მედიარესურსები?

ამ კლასში იმავე თემას პროგრამულად გავდიოდით მაკმილანის სახელმძღვანელოში English World 4 (გაკვეთილი 2).

როგორ შევარჩიე სასწავლო აქტივობები?

ვინაიდან ადაპტირებული ტექსტისა და მულტფილმის შინაარსი განსხვავდება როგორც ერთმანეთისაგან, ასევე სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის შინაარსისაგან, მოსწავლეთა მოტივირების მიზნით, გაკვეთილის დისკუსიით დაწყება გადავწყვიტე. მოსწავლეებს დავუსვამ კითხვებს საშინაო დავალების სახით მიცემული ადაპტირებული ზღაპრისა და მულტიპლიკაციური ფილმის ირგვლივ, რათა გამოვკვეთოთ განსხვავებები სხვადასხვა წყაროს მიერ წარმოდგენილ წითელქუდას ამბავზე. ეს მოსწავლეებს დაეხმარება მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირებაში.

ამის შემდეგ წავიკითხავთ სახელმძღვანელოში მოცემულ ზღაპარს და გავმართავ დისკუსიას. დისკუსია ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას. დასმული კითხვები დააფიქრებს მოსწავლეებს სტერეოტიპზე, რომ ყველა ზღაპარს ბედნიერი დასასრული აქვს. გაკვეთილზე მოსწავლეებს მოუწევთ ზღაპრის დასასრულის შეცვლა. ეს ხელს შეუწყობს მათში არამარტო კრიტიკული აზროვნების, არამედ შემოქმედებითი უნარის განვითარებას. მოხალისეები გაითამაშებენ სცენარს საკუთარი ინტერპრეტაციით, ხოლო მეორე ჯგუფის მოხალისეები წარმოგვიდგენენ დიორამას თოჯინების დახმარებით, სადაც მოსწავლეები თავად გაახმოვანებენ ზღაპრის გმირებს.

IV. გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

კლასის საორგანიზაციო საკითხები: სიის ამოკითხვა - 2წთ.

Warm up – დისკუსია საშინაო დავალების სახით მიცემული ადაპტირებული ზღაპრისა და მულტიპლიკაციური ფილმის ირგვლივ და T დიაგრამის შედგენა - 8წთ. ვატმანის ქაღალდზე,რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად: ადაპტირებული ზღაპარი და მულტიპლიკაციური ფილმი; თანმიმდევრულად დავიტან დისკუსიის დროს დასმული შეკითხვების პასუხებს, რათა მოსწავლეებმა თვალნათლივ დაინახონ განსხვავებები სხვადასხვა მედიის მიერ წარმოდგენილ ერთსა და იმავე თემაზე. მაგ.:

ადაპტირებული ზღაპარი	მულტიპლიკაციური ფილმი
1. She *wasn't ill.*	1. She *was ill.*
2. Riding Hood *was not lost.*	2. Red Riding Hood *was lost.*
3. She *didn't meet* the woodcutter on the way.	3. She *met* the woodcutter and he showed her the way.
4. The wolf *ate* Granny up.	4. The wolf *didn't eat* Granny up.
5. The woodcutter saved Red Riding Hood and her grandmother and *let the*	5. The woodcutter punished the wolf and *made him to clean the forest.*

wolf run away.

(ქართული თარგმანი მოცემულია ცხრილში.)

კითხვა	პასუხი	
	ადაპტირებული ზღაპარი	მულტიპლიკაციური ფილმი
იყო თუ არა წითელქუდას ბებო ავად? Was Red Riding Hood's grandma ill?	ბებო არ იყო ავად. She wasn't ill.	ბებო იყო ავად. She was ill.
დაიკარგა წითელქუდა ტყეში? Was Red Riding Hood lost in the forest?	წითელქუდა არ დაკარგულა. Red Riding Hood was not lost.	წითელქუდა დაიკარგა. Red Riding Hood was lost.
ბებოსთან მისვლამდე წითელქუდას შეხვდა მონადირე ტყეში? Did Red Riding Hood meet the woodcutter on the way to her Granny?	წითელქუდას ტყეში მონადირე არ შეხვედრია. Red Riding Hood didn't meet the woodcutter on the way.	წითელქუდას მონადირე შეხვდა და გზა უჩვენა. Red Riding Hood met the woodcutter and he showed her the way.
მგელმა ბებო შეჭამა? Did the wolf eat Granny up?	მგელმა ბებო შეჭამა. The wolf ate Granny up.	მგელს ბებო არ შეუჭამია. The wolf didn't eat Granny up.
მონადირემ მისცა მგელს გაქცევის საშუალება? Did the woodcutter let the wolf run away?	მონადირემ წითელქუდა და ბებო გადაარჩინა და მგელს გაქცევის საშუალება მისცა. The woodcutter saved Red Riding Hood and her grandmother and let the wolf run away.	მონადირემ მგელი დასაჯა და ტყის დასუფთავება დაავალა. The woodcutter punished the wolf and made him to clean the forest.

სახელმძღვანელოში მოცემული ზღაპრის წაკითხვა - 5წთ.

ყველა ბედნიერია?!
ლელა იმნაიშვილი

UNIT 2 In the theatre

Reading

Red Riding Hood

Red Riding Hood lived in the forest. Her father was a woodcutter. Every day he cut and chopped wood in the forest. One morning, Red Riding Hood's mother said to her, "Here is a cake and a bottle of fruit juice. Take them to Grandmother but don't talk to anyone on the way."

Red Riding Hood put on her red cloak with a hood and set off through the forest. The sun was shining and the birds were singing. The forest was beautiful and Red Riding Hood soon forgot her mother's words. She put down her basket and picked some pretty blue flowers.

Just then a wolf came along the path. He saw Red Riding Hood and he stopped beside her.

"Good morning, my dear. Where are you going today?" he asked.

"Oh! Good morning," answered Red Riding Hood politely. "I am going to my grandmother's house. She lives all alone at the edge of the wood. I am picking these flowers for her."

"You are a kind girl," said the wolf in a friendly voice. "Look! There are some lovely yellow flowers over there."

"Oh yes," said Red Riding Hood. "Thank you."

The wolf disappeared into the forest and Red Riding Hood picked an enormous bunch of flowers.

At last she came to her grandmother's house. She knocked on the door and went in.

The curtains were closed and at first she could see nothing. It was too dark. She felt a little scared but she was a brave girl and she did not run away. Then she saw Grandmother sitting up in her bed. She was wearing her pretty pink shawl and she had her big white nightcap on her head but she looked very strange.

ყველა ბედნიერია?!
ლელა იმნაიშვილი



Red Riding Hood said, "Oh, Grandmother, you have enormous ears."

"I can hear you with these ears," said her grandmother.

Red Riding Hood said, "Oh, Grandmother, you have enormous eyes."

"I can see you with these eyes," said her grandmother.

Red Riding Hood said, "Oh, Grandmother, you have a huge nose."

"I can smell you with this nose," said her grandmother and her big nose twitched a little.

Red Riding Hood said worriedly, "Oh, Grandmother, you have lots of big, shiny, white teeth."

"I can eat you with these big, shiny, white teeth!" roared her grandmother and she leapt out of the bed.

It was the wolf!

"Help!" screamed Red Riding Hood.

Suddenly, the door opened and her father stood in the doorway with his sharp, heavy axe. At once, the wolf jumped out of the window and ran away. He was not brave at all.

A sound came from the cupboard. They opened the door and there was Grandmother! She was frightened but safe and they never saw the wolf again.

ყველა ბედნიერია?!
ლელა იმნაიშვილი

დისკუსია- 10წთ. დისკუსიის კითხვები:

კითხვა	პასუხი
რატომ უთხრა წითელქუდას დედამ, გზაში არავის ელაპარაკოო? Why did Red Riding Hood's mother say :" Don't talk to anyone on the way?"	წითელქუდას დედამ იცოდა, რომ ტყეში საშიში იყო. Red Riding Hood's mother knew that it was dangerous in the forest.
რატომ დაანახა მგელმა წითელქუდას ყვითელი ყვავილები? Why did the wolf show Red Riding Hood the yellow flowers?	მგელს სურდა, წითელქუდაზე ადრე მისულიყო ბებოს სახლში. The wolf wanted to come to her grandma's house earlier.
რა კარგი საქციელი ჩაიდინა წითელქუდამ ამ ზღაპარში? What good things did Red Riding Hood do in the story?	ბებოს სახლში რომ მივიდა, კი შეეშინდა, მაგრამ არ გაიქცა. When she came in her grandma's house it was too dark and she felt a little scared but she didn't run away.
წითელქუდამ რაიმე ცუდი ჩაიდინა ? Did she do anything wrong?	მან არ დაუჯერა დედას და მგელს გამოელაპარაკა. She didn't listen to her mother and talked to the wolf.
როგორ ფიქრობთ, რომ ამ ზღაპარს ბედნიერი დასასრული აქვს? How do you think has this fairy tale the happy end?	დიახ, როგორც ყველა ზღაპარი, ესეც ბედნიერად სრულდება. Yes of course! It has the happy end.
რას ფიქრობთ მგელზე? არის ის ბედნიერი? What do you think about the wolf? Is he happy?	მგელი არ არის ბედნიერი. The wolf is not happy.

ამის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად ვმსჯელობთ იმის შესახებ, ბედნიერი დასასრული არის თუ არა ყველასათვის ერთნაირი. ის, რაც ერთისთვის არის ბედნიერება, შეიძლება თუ არა, მეორისთვის სულაც არ აღმოჩნდეს მისაღები.

მოსწავლეებს დავყოფ 2 ჯგუფად. ჯგუფების დავალებაა: შეცვალონ ზღაპრის ბოლო ისე, რომ მგელიც ბედნიერი დარჩეს. ამასთან, პირველ ჯგუფს დაევალება გაითამაშოს მცირე სცენა (როლური თამაში) მათ მიერ შედგენილი ზღაპრის მიხედვით - თავადვე

ყველა ბედნიერია?!
ლელა იმნაიშვილი

გაინაწილონ როლები; ხოლო მეორე ჯგუფს დაევალება, შექმნას დიორამა და გააკეთოს პატარა ინსცენირება თოჯინების დახმარებით - 15წთ.

ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ზღაპარს ჰქონოდა ,,რეალური" დასასრული . ,,რეალურ დასასრულში"მოსწავლეებმა იგულისხმეს ის, რომ თუ მგელმა ბებო შეჭამა და წითელქუდას გადასანსვლაც მოასწრო მონადირის მოასვლამდე, მას ხომ აღარ დაელოდებოდა და ასეთი ფორმით შემოგვთავაზეს იგი:



The end of
Red Riding Hood

... "I can eat you with these big, shiny, white teeth!" roared her grandmother and she leapt out of the bed. It was the wolf! Red Riding Hood screamed but nobody heard her. Unfortunately the woodcutter couldn't help Red Riding Hood and her grandmother.

The wolf ate Red Riding Hood too. He took off grandma's clothes, opened the door and went into the forest. He felt happy because he was not hungry any more.

გთავაზობთ ქართულ თარგმანს : ,,.. წითელქუდამ იყვირა, მაგრამ მისი ხმა ვერავინ გაიგონა. სამწუხაროდ, მონადირემ ვერ შეძლო წითელქუდას და მისი ბებოს დახმარება. მგელმა წითელქუდაც შეჭამა. გაიძრო ბებოს ტანისამოსი, გააღო კარი და წავიდა ტყეში. ის თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან მშიერი აღარ იყო."

მეორე ჯგუფმა გადაწყვიტა ზღაპრის ისე დამთავრება , რომ დასასრული კეთილი ყოფილიყო როგორც წითელქუდასთვის და მისი ბებოსათვის, ასევე მგლისთვისაც და მოქმედებას წერტილი იქ დაუსვეს, სადაც მგელი და წითელქუდა ერთმანეთს დაშორდნენ ტყეში, ანუ მგელი მისი გზით წავიდა ტყეში და გაუჩინარდა , წითელქუდამ კი მშვიდად განაგრძო გზა ბებიასთან". მეორე ჯგუფის მიერ მომზადებული თოჯინების ინსცენირების მაგალითი იხილეთ ბმულზე :
https://youtu.be/FCdd2Tm9ic0

ბოლოს შევაჯამებთ გაკვეთილს. ყურადღებას გავამახვილებთ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა ხერხებზე - 5წთ.
ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა ხერხებში ვგულისხმობ იმას, რომ ინფორმაცია შეიძლება მიწოდებულ იქნას მოთხრობის , აუდიო და ვიდეო ფაილების სახით. ზოგჯერ უმჯობესია, ინფორმაცია მივაწოდოთ სხვადასხვა ცხრილებითა და დიაგრამებით. მთავარია რამდენად სანდოა წყარო.

V. შეფასების ინსტრუმენტები:

რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს წაკითხული ტექსტისა და ნანახი ვიდეოს ერთმანეთთან დაკავშირება.

რამდენად შეუძლიათ მედიარესურსების ანალიზი (ვიდეო, ტექსტი).

რამდენად შეუძლიათ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება (სტერეოტიპების ნგრევა).

VI. გამოყენებული მულტიმედია რესურსები:

1. https://youtu.be/RT-EwqgHqCk

აღნიშნულ ბმულზე მოცემული მულტფილმის მიხედვით, განსხვავებით ადაპტირებული ზღაპრისა და სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტისაგან, წითელქუდა იკარგება ტყეში მას შემდეგ, რაც მგელთან საუბრის დასრულებისთანავე ყვავილების კრეფაში გაერთობა. როცა მიხვდება, რომ დაიკარგა, წითელქუდა იწყებს ტირილს და ტირილის ხმაზე გამოჩნდება მონადირე, რომელიც ეკითხება მას, თუ რას აკეთებს უღრან ტყეში მარტო, სადაც ყოფნა ძალიან საშიშია. მონადირე წითელქუდას ეკითხება, ხომ არ უნახავს დიდი, ცუდი მგელი, რომელსაც ის დიდი ხანია ეძებს. წითელქუდას სცხვენია იმის გამხელა, რომ ცუდ მგელს შეხვდა და მონადირეს ამ ამბავს დაუმალავს, მხოლოდ იმას ეტყვის, რომ დაიკარგა და მონადირეც მას ბებოს სახლამდე მიაცილებს. ცნობილი დიალოგის შემდეგ წითელქუდა მიხვდება , რომ ის მისი ბებო კი არა, დიდი, ცუდი მგელია და ხმამაღლა დაიწყებს ყვირილს. საბედნიეროდ, მონადირე გაიგონებს მის ხმას და გადაარჩენს ბებოსაც და წითელქუდასაც. მგელს კი, სხვა დასასრულებისაგან განსხვავებით, მონადირე არც კლავს და არც გაქცევის ნებას არ აძლევს. ის მგელს დასჯის და ტყის დასუფთავებას დაავალებს, ხოლო როცა მგელი წითელქუდას შემთხვევით კვლავ შეხვდება, მას შერცხვება თავისი ცუდი საქციელის გამო.

ყველა ბედნიერია?!
ლელა იმნაიშვილი

2. https://learnenglishkids.britishcouncil.org/sites/kids/files/attachment/stories-little-red-riding-hood-transcript-final-2012-07-13-.pdf

პატარა წითელქუდა

წითელქუდა ცხოვრობდა ტყეში დედასთან ერთად. ერთ დღეს წითელქუდა წავიდა ბებოს სანახავად.მას კალათაში გემრიელი ნამცხვარი ჰქონდა.

გზაზე წიელქუდას შეხვდა მგელი.

,,გამარჯობა! სად მიდიხარ?' ჰკითხა მგელმა.

,,ბებოს სანახავად მივდივარ. ის იმ ხეების უკან ცხოვრობს.“ უპასუხა წითელქუდამ.

მგელი გაიქცა ბებოს სახლში და შეჭამა ის, შემდეგ კი ბებოს საწოლში ჩაწვა.

მოგვიანებით წითელქუდაც მივიდა სახლში და ბებოს შეხედა.

,,ბებო, რა დიდი თვალები გაქვს?''

,,იმიტომ, რომ კარგად დაგინახო!“

,,ბებო, რა დიდი ყურები გაქვს?''

,,იმიტომ, რომ კარგად მოგისმინო!“

,,ბებო, რამოდენა ცხვირი გაქვს?“

,,იმიტომ, რომ კარგად ვისუნთქო!“

,,ბებო, რამოდენა პირი გაქვს?“

,,იმიტომ, რომ კარგად შეგჭამო!“დაიყვირა მგელმა.

მგლის ყვირილი მონადირემ გაიგონა, რომელიც იმ დროს ტყეში იმყოფებოდა და სახლისაკენ გაიქცა. მან მგელს თავში ჩაარტყა. მგელმა პირი გააღო და იქედან ბებო ამოხტა. მგელი გაიქცა და წითელქუდას ის აღარასოდეს უნახავს.)

Little Red Riding Hood

Little Red Riding Hood lived in a wood with her mother. One day Little Red Riding Hood went to visit her granny. She had a nice cake in her basket.

On her way Little Red Riding Hood met a wolf. “Hello!” said the wolf. “Where are you going?”
“I’m going to see my grandmother. She lives in a house behind those trees.”

The wolf ran to Granny’s house and ate Granny up. He got into Granny’s bed. A little later, Little Red Riding Hood reached the house. She looked at the wolf.

“Granny, what big eyes you have!”
“All the better to see you with!” said the wolf.
“Granny, what big ears you have!”

“All the better to hear you with!” said the wolf.
“Granny, what a big nose you have!”
“All the better to smell you with!” said the wolf.
“Granny, what big teeth you have!”
“All the better to eat you with!” shouted the wolf.

A woodcutter was in the wood. He heard a loud scream and ran to the house. The woodcutter hit the wolf over the head. The wolf opened his mouth wide and shouted and Granny jumped out. The wolf ran away and Little Red Riding Hood never saw the wolf again.

3. https://youtu.be/FCdd2Tm9ic0